



08.02.2013

მძიმე ლითონების რეზერვუარი ხანაძორის ხეობაში



შეუერთდი განხილვას

სიგრძე - 4 კილომეტრი, წლიური ტევადობა - 7 მილიონი კუბური მეტრი, მდებარეობა - მდინარე შნოლის აუზი.

ეს გიგანტი, მძიმე ლითონებით დაბინძურებული, ნახევრადთხევადი ნარჩენების შემგროვებელი კონსტრუქციაა, რომელიც მდინარე შნოლს დაჰყურებს. შნოლი მდინარე დებედას ერთ-ერთი მთავარი შენაკადია, დებედა კი სომხეთიდან საქართველოში ჩამოდის.

"თუ ჩვენთან იქნება ავარია ან გაჟონვა, რა თქმა უნდა დაბინძურება საქართველოში წავა. წარმოიდგინეთ, რომ მე მე-5 სართულზე ვცხოვრობ და თქვენ მე-4-ზე, თუ წყალი

მოვუშვი, თქვენ ჩამოგივით. თუ არ მოგწონთ, ადგილები გავცვალოთ: თქვენ აქ ამოდით და და ჩვენ იქ ჩავალთ. მერე მიდით და გვაბინძურეთ. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით." - ამბობს ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ზოგად რისკზე სამთო ინსტიტუტის წყლის სპეციალისტი ჰოვიკ ნიკოლოსიანი.

იმისათვის, რომ სომხეთში, ხანაძორის ხეობის ამ ტერიტორიაზე კუდსაცავი აეშენებინათ ტყის 7 კილომეტრიანი მასივი გაიჩეხა. ახლა აქ თითქმის მთელი დღე ტრაქტორებისა და ამწეების გრუხუნის ისმის.

ხეობის ამ ნაწილის გათხრა სომხურმა კომპანია Armenian Copper Program -მა ორი წლის წინ დაიწყო და ამ ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების - სპილენძისა და მოლიბდენის მოპოვებას აპირებს. საწარმოს ინდუსტრიული ნარჩენები რაოდენობის მიხედვით სომხეთში ყველაზე დიდი იქნება -180-200 მილიონი კუბური მეტრი. იმავე ხეობაში აშენდება კუდსაცავი, რომელიც საწარმოს თხევადი ნარჩენების რეზერვუარია.

პროექტების ამ ეტაპზე კომპანიას შესაძლო ტრანსსასაზღვრო დაბინძურების რისკები არ შეუფასებია, არადა საწარმოში ავარიის შემთხვევაში, კუდსაცავიდან დაღვრილ ნარჩენებს მდინარე დებედა საქართველოში ჩამოიტანს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ტეგუტის პროექტების შესაძლო ტრანსსასაზღვრო დაბინძურებაზე ინფორმაციას არ ფლობენ.

„ესპოს კონვენციის მხარე რომ ვიყოთ, ინფორმაციის გამოთხოვნაც არ დავგჭირდებოდა - ისინი (სომხეთის რესპუბლიკა) ვალდებულები იქნებოდნენ, რომ შეტყობინებები პირდაპირ გამოეგზავნათ“, - აღნიშნავს ნიკოლოზ ჭახნაკია, ესპოს კონვენციის ადმინისტრაციულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი საქართველოში.

ესპოს „ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ კონვენციის (Espoo Convention on Environmental Impact Assessment in a Transboundary Context) მხარე საქართველო არაა.

ამიტომ, მარიამ მაკაროვამ, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წყლის რესურსების სამსახურს ხელმძღვანელობს, პროექტის შესახებ, როგორც თვითონ ამბობს, ინტერნეტით გაიგო.

"რადაც რისკი არის, თუმცა ჩემთვის ცოტა ძნელია ზეპირად საუბარი, რადგან საპროექტო საბუთები ნანახი არ მაქვს", - აღნიშნავს მაკაროვა.

სომხეთის გარემოს დაცვის სამინისტროს ტეგუტის პროექტის შესახებ საქართველოსთვის ოფიციალურად არ უცნობებია და არც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გამოუთხოვია პროექტი სომეხი

კოლეგისგან.

მანანა ქოჩლაძე, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ დირექტორი, თვლის, რომ ტრანსსასაზღვრო დაბინძურების რისკს ზრდის ის ფაქტიც, რომ კომპანიას არ გააჩნია რისკების შეფასების დოკუმენტი და შესაბამისად, არც ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა.

შესაძლო ტრანსსასაზღვრო რისკების განსახილველად, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ და სომხურმა ტეგუტის ტყის დამცველმა ჯგუფმა ერევანში კონფერენცია მოაწყო და ქართველი და სომეხი მთავრობის ჩართვაც გადაწყვიტეს. მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა - არც ერთი სამინისტრო კონფერენციაზე არ გამოცხადდა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა ნინო ცხადაძემ ორგანიზაციების მოწვევაზე ასე უპასუხა:

„სამწუხაროდ, მინისტრი და კონფერენციაზე მოწვეული სხვა თანამშრომლები ქვეყანაში არ იმყოფებიან. დიდი მადლობა მოწვევისთვის, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მოგვეცემა საშუალება ჩვენი თანამშრომლობა გაძლიერდეს.“

იმ მომენტში საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მოწვეული თანამშრომლები პრეზიდენტს ახლდნენ მექსიკაში გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ კონფერენციაზე.

თვით კომპანია Armenian Copper Program (ACP) კონფერენციას დაესწრო. კითხვებზე კომპანიის დირექტორი გაგიკ არზუმანიანი პასუხობდა.

მან აღიარა, რომ პროექტს არ შეუფასებია ტრანსსასაზღვრო დაბინძურების რისკი.

„თუმცა, ამაზე ახლავე დავიწყებ ფიქრს და ვთხოვ ჩემს კოლეგებს, რომ ამაზე მუშაობა დაიწყონ,“ - აღნიშნა არზუმანიანმა.

პროექტის კუდსაცავის გეოგრაფიულ მდებარეობაზე მიუთითებს სომეხი წყლის სპეციალისტი კნარიკ ჰოვჰანიანიც, რაც, მისი აზრით, ზრდის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების საფრთხეს.

„კუდსაცავი მაღლა მდებარეობს, მდინარე შენოლი - დაბლა და დებედა - კიდევ უფრო დაბლა. კუდსაცავს ქოლგას ხომ არ დაახურავენ? - წვიმების, თოვლის ნადნობი წყალი რომ მდინარეში ჩავა და ძმომე მეტალებსაც ჩაიტანს, უდავოა. მდინარე შენოლი დებედას უერთდება - ჩვენ კი ერთმანეთთან ვართ დაკავშირებული. გამოცდილება აჩვენებს, რომ

ნიადაგებში წყალი ჟონავს და ჩვენს ტრანსასაზღვრო მეზობლამდე აღწევს."

კუდსაცავში შენახული ნახევრადთხევადი ნარჩენები ისეთ მძიმე ლითონებს შეიცავს, როგორებიცაა: სპილენძი, ვერცხლი, მოლიბდენი. ამ ლითონებით დაბინძურებული მდინარით მორწყული ნიადაგიდან მძიმე ლითონები საკვებ ჯაჭვში გადადის და ონკოლოგიური და კანცეროგენული კერების საფრთხეს წარმოშობს.

კომპანიის სამთო ინჟინერმა არტურ მკრტუმიანმა ახსნა კონცეფცია, თუ როგორ მოხდება ტეგუტის პროექტის გარემოსდაცვითი ზეგავლენის შემცირება.

„ახლა რასაც ხედავთ, მეორე დამცავი დამბაა“, - ხსნიდა კომპანიის სამთო ინჟინერი და ხელს დასავლეთისკენ იშვერდა, სადაც უკვე დაწყებულია კუდსაცავის დამბების მშენებლობა, სადაც საწარმოს მიერ მოხმარებული ტექნოლოგიური წყლები უნდა შეგროვდეს. - „ამას ახლა ვაშენებთ. აქ ხელახლა მოხდება წყლის გაწმენდა, სუფთა წყალი კი ფაბრიკაში გადაიქაჩება.“

„ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის უქონლობის შემთხვევაში, თქვენი მტკიცება, რომ კუდსაცავის წყლების იზოლირება ხდება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებისგან, ცოტა საეჭვოა. გავიხსენოთ რუმინეთსა და უნგრეთში მომხდარი კატასტროფები - იქ ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა თეორიულად მაინც არსებობდა, მაგრამ არ უშველა და აქ რა მოხდება, როცა ასეთი დოკუმენტი თეორიულადაც არ არსებობს?“ - იკითხა ქოჩლაძემ.

„იქნებ არც არსებობს ტრანსასაზღვრო ზეგავლენა?“ - აღნიშნა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა სონა აივაზიანმა. - „ჩვენი მთავრობა უსირცხვილოდ იმეორებს ამას, მაგრამ არავითარი არგუმენტები არ მოყვავს განცხადების გასამყარებლად.“

შესაძლო ტრანსასაზღვრო დაბინძურებაზე სომხეთისა და საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროებს შორის ინფორმაციის გაცვლა არ მომხდარა.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის შესაძლო ტრანსასაზღვრო დაბინძურების შესახებ ინფორმაციის გაცვლას ესპოს კონვენცია უზრუნველყოფს. საქართველოს მიერ მისი რატიფიცირება და შემდგომ ხელმოწერა, როგორც ნიკოლოზ ჭახნაკია აცხადებს, უახლოესი 18 თვის განმავლობაში არ მოხდება.